


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბატონი ბეჭედი სიფყვას, ცყუილებით და ქაბებით ბუბთის გაფანა ყველა უჯადისდაზგ უსაბაგოლსია.

სამშაბათი, 2 მაისი. 2017 წ. №89 (8226), გამოცემის 99-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

მარისუანით – ეპროპისკენ!!!



5

ღიმიტრი ხუნდაძე:
**არ მინდა,
საქართველოში
„დაპოლილ“**

ახალგაზრდებს ვხედავდი!

ახმატის აქცია: „ნაპიდნენ და არაბულ ქვეყანაში იხსოვრონ!“

3

ზეპანისკური მესიჯები სოსუმიდან...

4

როგორ სულთ რუს შურნალისტებს ვითომ პროქართველი აფხაზი ნაპრეზიდენტალი!

8

საქონსტიტუციური ცვლილებების პროექტი საჩიოვალ პროცედურაზე გიჟი



პროცედურული საკითხები უზრუნველყოფს ირაკლი კობახიძემ გააცნო:

„ივნიში დაინწყება დოკუმენტის საპარლამენტო განხილვები. სწორედ ივნიშის თვის განმავლობაში, მოქმედი რეგლამენტის თანახმად, ორი მოსმენა შედგება და უკვე მომდევნო სესიაზე, სავარაუდოდ, ოქტომბერში ან ნოემბერში მიღებული იქნება კონსტიტუციის გადასინჯვის ორივე კანონპროექტი, უკვე მესამე მოსმენით და საბოლოო ფაზაში, ეს ცვლილებები ამოქმედდება კონსტიტუციის არსებული რედაქციის თანახმად, მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებში არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე. ეს ნიშნავს იმას რომ, ამ რედაქციით, გაისად ჩატარდება პირდაპირი წესით საპრეზიდენტო არჩევნები ანუ 6 წლით ხდება ახალი მმართველობის სიტემის სრულფასოვანი ამოქმედების გადავადება.“

რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებს, 2020 წელს შედგება უკვე პროპორციული სისტემით საპარლამენტო არჩევნები. ეს არის გათვალისწინებული იმ კანონპროექტით, რომელიც წარედგინება პარლამენტს, – განაცხადა კობახიძემ.

პოლიციის და გაკომუნიკაციების დააირისიკება პერიასთან


თბილისის მერიასთან აქციის მონაწილეების მიერ გზის გადაკეტვის მცდელობას პოლიციასთან დაპირისპირება მოჰყვა.



ნავთლულის ბაზრის ტერიტორიის მოვარეები გარეგარეობის აკრძალვის 6 თვით გადადებას მოითხოვენ და აცხადებენ, რომ მათ ღამე ბაზრის ტერიტორიაზე გაათენეს, რადგან დახლები არ აქვთ. გარემოვარეები მერიის წარმომადგენელთან შეხვედრას ითხოვენ. თბილისის მერიიდან აქციის მონაწილეებს განცხადების დანერა შესთავაზეს, რაზეც გარემოვარეებმა უარი განაცხადეს. როგორც გარემოვარეები აღნიშნავენ, მათ განცხადებას ყურადღებას არავენ მიაქცევს.

ეპუფე ღიმიტრი ღაიკითა

ე.წ. ციანიდის საქმეზე ბათუმი-სა და ლაზეთის მიტროპოლიტი, მეუფე ღიმიტრი ღაიკითა. მისი ადვოკატის ინფორმაციით, მეუფე ღიმიტრის ჩვენებაში მხოლოდ დეკანოზთან ურთიერთობის შესახებაა საუბარი და საქმესთან დაკავშირებით, რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მისთვის ცნობილი არ არის.



ე.წ. ციანიდის საქმეზე დაკავებული დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმის სასამართლო განხილვა 5 მაისიდან იწყება.

ზუკაბ ქარსიქიკოს გაგუღით ეპუქაბოღენ

ე.წ. ფოტორეპორტიორების საქმეზე სასამართლო სსდომა ზურაბ ქურციკიძის დაკითხვით განახლდება. პროცესამდე მან განაცხადა, რომ 2011 წელს მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება განხორციელდა.

მისი ინფორმაციით, სანამ მოდულის შენობაში მიიყვანდნენ, ის თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზეც ჰყავდათ მიყვანილი. როგორც ქურციკიძე ამბობს, მოდულის შენობაში მისი გაგუღვის მცდელობაც იყო, რათა მას არარსებული ჯაშუშობა ელიარებინა და ეთქვა, რომ ის იყო იმ ქსელის შემქმნელი, რომლის მეშვეობითაც ფოტორეპორტიორები ამ დანაშაულს ასორციელებდნენ. ზურაბ ქურციკიძის განცხადებით, ამ ზემოქმედებით, მონაწილე ერთ-ერთი სწორედ დავით დეკანოზაშვილი იყო, რომელიც ამ საქმეზე ბრალდებულია. მონის თქმით, ის დეკანოზაშვილს პირველად სწორედ მოდულის შენობაში შეხვდა. დაზარალებულის სტატუსის მქონე ნათია და ირაკლი გედენიძეები უკვე დაიკითხნენ.



ნუთუ ეს მართალია?!

4 852 698 ლარი - 4 თვის პრემია-დანამატი პარლამენტში

„ახალი საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან საბეიშვილი საქართველოს პარლამენტის დეპუტატების, აპარატის თანამშრომლებისა და თანამდებობის პირების 2017 წლის 1 იანვრიდან, 30 აპრილის ჩათვლით, მიღებულ პრემია-დანამატების ოდენობას ასაჯაროვებს.

კვლევის მიხედვით, მხოლოდ პრემია-დანამატის სახით აღნიშნული თანამდებობის პირებმა 4 852 698 ლარი მიიღეს.

„ამ თანხით შესაძლებელი იყო იძულებით გადაადგილებული, უსახლკარო 220 დევნილი ოჯახისთვის მიეცათ 22 ათასლარიანი კომ-

პენსაცია, ამ თანხით შესაძლებელი იყო იმ ათიათასობით ადამიანიდან, რომლებიც სოციალურ დახმარებას და ყოველთვიურ 50-ლარიან შემწევობას ითხოვს, 8000 ადამიანი დაეკმაყოფილებინათ, ერთი წლის განმავლობაში. გამოდის, რომ ის, რაც ჩინოვნიკებმა პრემია-დანამატის სახით, 4 თვეში მიიღეს, საკმარისია ერთი წელი 8000 ადამიანისთვის.“

მოგესწინებათ, 39 ათასზე მეტ სტუდენტს აქვს სტატუსი შეჩერებული, საიდანაც 9800 სტუდენტს სტატუსი შეჩერებული აქვს ფინანსური პრობლემების გამო, ამ თანხით შესაძლებელი იყო 4900 სტუდენტის დაკმაყოფილება საშუალოდ 1000 ლარით, რაც უზრუნ-

ველყოფდა, მათი სწავლის გაგრძელებას. მიიქმე ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამო ჩვენს მოქალაქეებს, განსაკუთრებით პენსიონერებს, უჭირთ გაძვირებული მედიკამენტების შექენა, მხოლოდ 4 თვეში გაცემული პრემია-დანამატი თანხით, შესაძლებელი იყო 16 175 პენსიონერისთვის მიეცათ 300-ლარიანი მედიკამენტის ვაუჩერი, ასევე ახალი საქართველოს კვლევა ამ აჩვენა, რომ მხოლოდ თბილისში, 0-6 წლამდე, 97734 ბავშვი შიმშილობს, ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკით. ამ თანხით შესაძლებელი იყო თუნდაც ამ ბავშვებზე ერთჯერადად გაცემულიყო 500-ლარიანი დახმარება.

4 852 698 ლარით მინიმუმ სამოტო სოფელში მოგვარდებოდა წყლის, გზის, ბუნებრივი აირის ან მინიმალური კომუნიკაციის პრობლემა, ასევე ამ თანხით შესაძლებელი იყო დაახლოებით 200-მდე ობიექტი შუშე პირებისთვის მოწყობილიყო ადაპტირებულიყო, როგორც ხედავთ, პარლამენტის დეპუტატების და აპარატის თანამშრომლების, მხოლოდ 4 თვის პრემიერ-დანამატით, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება იყო შესაძლებელი, თუმცა „ქართული ოცნება“ და მისი ხელისუფლება მიეჩვენა ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯს. თუ საქართველოს მოქალაქეები მიჩვეულნი არიან, რომ წელიწადში 12 თვე და დასაქმებულები, სწორედ 12 თვის ხელფასს იღებენ, პარლამენტის დეპუტატებისთვის და აპარატის თანამშრომლებისთვის წელიწადში რიგ შემთხვევაში, 25-26 თვე და სწორედ ამდენი თვის ხელფასს იღებენ 12 თვეში, ვგულისხმობთ დამატებით პრემია-დანამატებს“, – აცხადებს საბეიშვილი.

„ნაპიდენე და არაბულ ქვეყანაში იცხოვრონ!“

ამ დღეებში ახმეტის რაიონი სმურთან აქციამ მოიცვა. 500-მდე ადგილობრივი ქალაქის ცენტრში, მშენებარე ეკლესიის ეზოში შეიკრიბა და სოფელ ჯოყოლოში სალოცავის დანგრევა გააპროტესტა. ალავერდის ეპარქიის მეთაურმა კი მრევლთან ერთად ხელისუფლების სახელზე სპეციალური მიმართვა შეიმუშავა და ფაქტის დროული გამოძიება მოითხოვა. აქციაზე იმყოფებოდა ახმეტისა და თელავის მაჟორიტარი დეპუტატი გელა სამხარაულიც. ამის შემდეგ 200-მდე ახალგაზრდა პანკისის ხეობასთან დამაკავშირებელი გზის გადაკეტვას შეეცადა, თუმცა ამის შესაძლებლობა ადგილზე მობილიზებულმა სამართალდამცველებმა არ მისცეს.

როგორც აქციის მონაწილეები ირწმუნებიან, ჯოყოლოში დანგრეული სალოცავი ქრისტიანული იყო და ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ხეობაში რელიგიურ სინამდვილეს შეურაცხყოფენ. მათივე ინფორმაციით, ცნობილია დამნაშავეების ვინაობაც, თუმცა სამართალდამცველების მხრიდან დროული რეაგირება არ მოხდა.

აქციაზე ქისტების მისამართით გამოთქმული შემაშფოთებელი მესიჯები ისმოდა: „თავს გავიდნენ გამოივლიან და დაეფუტეთ თავები“; „რაიონში მოსახლეობის 30% უკვე ქისტია, ეს ჩვენი ქვეყანაა“; „ზედ დაგვასხდნენ, გადაგვიარეს“; „წავიდნენ და არაბულ ქვეყანაში იცხოვრონ, სადაც არც სიმღერაა და არც ცეკვა“.

თავად პანკისში მომხდარს პროვო-



კაციად აფასებენ და იმასაც წუხან, რომ აქციაზე მათივე დეპუტატი მივიდა.

„აქცენტი“ სოფელ ჯოყოლოს მკვიდრებს ესაუბრა:

„იმ ადგილზე ქრისტიანული სალოცავი არც არასდროს ყოფილა. მსგავსი რამ არც გამოიგია და ჩვენს სოფელში ყველამ ასე იცის. პირიქით, გადმოცემით ვიცოდით, რომ წარსულში წარმართული სალოცავი იყო და ვინაიდან ადგილობრივები ღვთის მოშიშნი არიან, იმ ადგილს ყოველთვის თავს არიდებდნენ, ხესაც კი არ ჭრიდნენ. უცებ იქ გაჩნდა რამდენიმე

ადგილი ქვა, ამისთვისაც არ მიგვიცხვია ყურადღება. ყოველ პარასკევს სოფლის გამგებელთან და რწმუნებულთან ერთად ვიკრიბებით სოფელს და სოფლის საჭირო-რობთ საკითხებზე ვმსჯელობთ. ერთ-ერთი მსგავსი შეკრების დროს ჩვენმა თანასოფელელმა ჰკითხა რწმუნებულს და გამგებელს, „იციოთ რამე წარმართული სალოცავის ადგილზე მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ?“. მათ არაფერი იცოდნენ და სწორედ მაშინ გავიგეთ, რომ ცისკარიშვილები (ადგილობრივი ქისტები არიან) მშენებლობას აწარმოებდნენ, თა-

ვად ქალბატონი კი, ვინც აშენებდა, გვარად მუთოშვილია. შევთანხმდით, რომ რწმუნებული მუნიციპალიტეტში მოითხოვდა საქმეს და დეტალებს გაარკვევდა. იქ ნგრევაზე საუბარიც კი არ ყოფილა. მსგავსი რამ არავის უხსენებია. ველოდი რწმუნებულის ინფორმაციას. მეორედ დღეს შევიტყვეთ, რომ ის სალოცავი დაანგრეს და თავდაცვით გაიკრებოდა ვიყავით. მშენებლობის შეუთანხმებლად დაწყება და შემდეგ დანგრევა, ვფიქრობთ, დაგვგმილი პროვოკაცია იყო. თუნდაც ეს რომელიმე ქისტს გაეკეთებინა, მთელს ხეობას რას ერჩი? რატომ აგებინებ პასუხს? მსგავსი ინციდენტი ისედაც რთულ პერიოდში ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირების ჭრილში უნდა გადაიყვანოს? აქციაზე ჩვენი დეპუტატი ბრძანდებოდა, რომელიც სწორედ ჩვენი წყალობით მოხვდა პარლამენტში. იმისთვის ავირჩიეთ, რომ ხალხი ერთმანეთს დააპირისპიროს?! რას ნიშნავს „თავს გავიდნენ“? ხვალ ნებისმიერ ქისტს, რომელიც მომხდართან კავშირში არაა, თავს რომ დაესხნენ, ვინ აგებს პასუხს? აქეთ მიდის სახელმწიფო?!“, — კითხულობენ ადგილობრივები.

სალოცავის დანგრევასთან დაკავშირებით შს სამინისტრო გამოძიებას აწარმოებს. საქმეს სხვისი ნივთის დაზიანების კვალიფიკაცია მიეცა. ამ ეტაპზე, რამდენადაც ცნობილია, პასუხისმგებელი პირები არ არიან გამოკვეთილები.

ლიანა მუსელიანი



არა კალაძეებს!

იუსტიციის სამინისტრო საქართველოს მასშტაბით უპრეცედენტო ტრენინგების კურსს იწყებს — იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტრენინგები ქალთა უფლებებისა და ოჯახში ძალადობის თემაზე 6 თვის განმავლობაში უფასო ტრენინგებს ჩაატარებენ.

სლოვანიაში „იმოქმედე“ იუსტიციის სამინისტრო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სოციალურ კამპანიას აწარმოებს და უფასო ტრენინგებს მის ფარგლებში ტარდება. სოციალური კამპანიის მიზანია მოქალაქეების ინფორმირება და ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების გააქტიურება. იუსტიციის მინისტრმა თვა წულუკიანმა კამპანიის პრეზენტაცია მიმდინარე წლის თებერვალში გამართა. უწყების ინფორმაციით, კამპანიის მიზანი საქართველოს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება იმ სიახლეების შესახებ, რომელთაც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონთა პროექტი ითვალისწინებს. ტრენინგების შედეგად მოქალაქეებს ექნებათ სრული ინფორმაცია, თუ რას ითვალისწინებს კანონმდებლობა მათი უფლებების დასაცავად და რა სერვისებს სთავაზობს ძალადობის მსხვერპლთა; ეს კი მათ საშუალებას მისცემს, უკეთ დაიცვან საკუთარი უფლებები და, საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლონ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული დახმარებით.

სპეციალურად მომზადებული პროგრამით ტრენინგის მონაწილეები მიიღებენ ზოგად ინფორმაციას, თუ რა არის ძალადობა, როგორ შეიძლება ის ვლინდებოდეს, რა ზეგავლენა აქვს მას პიროვნებასა და საზოგადოებაზე; გაეცნობიან ძალადობის აღსაკვეთად და მსხვერპლთა დასაცავად დღეს არსებულ მექანიზმებს. პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს ექნება მეტი ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმაროს მსხვერპლს და როგორ ამოიცნოს ძალადობის ესა თუ ის ფორმა.

მთლიანობაში, 6 თვის განმავლობაში ტრენინგები 74 ჯგუფისთვის ჩატარდება. ტრენინგები გაიმართება თბილისის იუსტიციის სასწავლო ცენტრში და საქართველოს ყველა რეგიონში არსებულ იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში.

ჩინეთში „ნაპლაკუ“ წინასწარი გადარწმუნების გამოტანილია

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სახელმწიფო ადმინისტრაციის (SAIC) სასაქონლო ნიშნების უწყების მიერ ქართული მინერალური წყლის ადგილობრივი დამამუშავებელი „ნაბეღლაკი“ მიღებულ იქნა წინასწარი გადარწმუნების რეგისტრაციის შესახებ.

2016 წელს საქატიტენტმა ჩინეთის სასაქონლო ნიშნების უწყებაში შეიტანა განაცხადი „ნაბეღლაკის“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე რეგისტრაციის მოთხოვნით. აღსანიშნავია, რომ ქართული მინერალური წყლის დასახელება „ნაბეღლაკი“ ჩინეთში არაკეთილსინდისიერი განზრახვით რეგისტრირებული იყო ორი ჩინური კომპანიის სახელზე. საქატიტენტმა ჩინეთის სასაქონლო ნიშნების უწყების დაგვიხმევს განმედიველ უწყებაში შეიტანა საჩივრები ჩინური კომპანიების წინააღმდეგ და მოითხოვა აღნიშნული რეგისტრაციების გაუქმება. ქართულ მხარესა და ჩინურ კომპანიებს შორის არსებული დავა ქართული მხარის სასარგებლოდ გადაწყდა. შესაბამისად, „ნაბეღლაკის“ რეგისტრაციები გაუქმდათ ორივე ჩინურ კომპანიას.

ადგილობრივი დამამუშავებლის დაცვა როგორც ჩინეთში, ისე სხვა ქვეყნებში გავლენას მოახდენს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და ხელს შეუწყობს ქართული მინერალური წყლების ცნობილი დასახელებების უკანონო გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლას.

ბათანიში გაზიფიკაციის პროექტი დასრულდა

შპს-ის რაიონის გამგეობის ორგანიზებით და დაფინანსებით ბათანიში გაზის ცენტრალური ქსელის მოწყობის სამუშაოები დასრულდა. მერიის ინფორმაციით, სამუშაოების ფარგლებში, 1810 გრ.მ. გაზსადენის მილის მონტაჟი განხორციელდა. შედეგად, გაზი ბათანიის აგარაკზე არსებულ 60 ნაკვეთამდე მიყვანილი. გაზსადენის ქსელის მოწყობის



საპროექტო და სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება 44 000 ლარს შეადგენს.

ბეთანიის მოსახლეობას ვაკის რაიონის გამგებელი ნოდარ ტურძელაძე შეხვდა და გაზიფიკაციის პროექტის განხორციელება მიულოცა.

„კლ ჯაშირა“ აჭარის რეგიონში უკეთეს

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონის ტურისტულ პოტენციალს რეკლამირება ყველაზე მასშტაბურ და მნიშვნელოვან გამოფენაზე გაუწია. დუბაის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე ATM-2017 დეპარტამენტი საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და ტურისტულ კომპანიებთან ერთად მონაწილეობდა.

არაბი ტურისტებისთვის საქართველო ახალი და საინტერესო ტურისტული მიმართულებაა. შედეგად, საქართველოს სტენდი ტურისტულ კომპანიებსა და ვიზიტორებს შორის პოპულარობით სარგებლობდა. დეპარტამენტისა და ეროვნული ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად გამოფენაზე 32 ქართული ტურისტული კომპანიისა და სასტუმროს წარმომადგენელი ეწეოდა საქართველოს ტურისტული პრომოუტებისა და შესაძლებლობების პოპულარიზაციას. ამას ემატებოდა, ქართული ფოლკლორი, რომელმაც ვიზიტორების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტისთვის არაბეთის გაერთიანებული საამიროები ახალი სამიზნე ტურისტული ბაზარია, საიდანაც გასულ წელს, რეგიონში 6 953 არაბი ტურისტი ისვენებდა.

აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმა 64,1-პროცენტით გადაჭარბებით შესრულდა

აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმა 64,1%-იანი, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის გეგმა 51%-იანი გადაჭარბებით შესრულდა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის იანვარ-აპრილის გეგმა 56 მლნ 82 ათას 700 ლარი იყო, თუმცა შესრულებამ 92 მლნ 41 ათას 800 ლარი, ანუ გეგმაზე 64,1%-ით შესრულდა.

სამინისტროს ინფორმაციით, რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადების მუხლი, 4 თვის მონაცემებით, 157,2 %-ით შესრულდა, სხვა შემოსავლების მუხლი 298,6 %-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების (კლება) მუხლი 121,9%-ით.

რაც შეეხება იანვარ-აპრილის ნაერთი ბიუჯეტის გეგმას, ის 81 მლნ 266 ათასი ლარი იყო, თუმცა გეგმა 51%-ით გადაჭარბდა და შესრულებამ 122 მლნ 709 ათას 300 ლარი შეადგინა. საბიუჯეტო მონაცემები ცხადყოფს, რომ აჭარის ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების მუხლი 52,6%-იანი გადაჭარბებით, სხვა შემოსავლების მუხლი 55,8%-იანი გადაჭარბებით, ხოლო არაფინანსური აქტივების (კლება) მუხლი 21,9%-იანი გადაჭარბებით შესრულდა.

როგორ სძულთ რუს ქურნალისტებს ვითომ პროქართველი აფხაზი ნაპრეზიდენტი!

რუსული გამოცემა „KOMСOМOЛСКАЯ ПРАВДА“, ე.წ. აფხაზეთის ყოფილი „არეზიდენტი“ ალექსანდრე ანქვაზის შესახებ სტატიას აქვეყნებს და მას რუსული კავშირების დამფუძნებლებსა და ბიზნესრეკონსტრუქტორებს სდებს ბრალს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრაინი“ მთავარფოტო სტატიის ქართულენოვან ვერსიას მცირეოდენი შეიქმნა:

ალექსანდრე ანქვაზი აფხაზეთის პარლამენტის წევრი კი გახდა, მაგრამ მას არანაირი თანამდებობა არ დაუკავებია. ვიცე-სპიკერობას ვინ ჩივის (არადა, მას სწორედ ამის იმედი ჰქონდა!), რომელიმე კომისიის თავმჯდომარის პოსტზეც კი არ აურჩევიათ.

ალექსანდრე ანქვაზი აფხაზეთის პრეზიდენტად მხოლოდ სამი წლის განმავლობაში იყო, თუმცა ამ დროის მანძილზეც ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბდა მართვის მისეული სტილი, რომელსაც 2011 წლიდან 2014 წლამდე მონაკვეთში შეიქმნა „ანქვაზის ეპოქა“ ეწოდოს.

თუ საგარეო პოლიტიკაზე ვილაპარაკებთ, ალექსანდრე ანქვაზის პრეზიდენტობის დროს განსაკუთრებით აქტიური იყო კონტაქტები რუსეთის ხელისუფლებასთან: მისი არჩევის დროს მხოლოდ სამი წელი იყო გასული მოსკოვის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლად აღიარებიდან, მაგრამ პარადოქსი – სწორედ ალექსანდრე ანქვაზის მმართველობის დროს რუსეთის მხრიდან გამოწვეული მეგობრობის ხელი ჰაერში დაარჩა, თანაც საკმაოდ ხანგრძლივად.

პრეზიდენტად არჩევამდე ალექსანდრე ანქვაზი, მართალია, ვიცე-პრეზიდენტიც იყო და პრემიერ-მინისტრიც, მაგრამ მაინც სერგეი ბაღდაშის ჩრდილში რჩებოდა. როგორც კი იგი პრეზიდენტი გახდა, მან რუსული ბიზნესის დევნა დაიწყო. რუსული კომპანიები ალექსანდრე ანქვაზის ასეთი მოქმედებით შოკში ჩავარდნენ. მისთვის დამახასიათებელი ადმინისტრაციულ-მმართველური მანერით ალექსანდრე ანქვაზი, საკუთარი სიმპათიების საფუძველზე, კომპანიებს „ნებას რთავდა“ ან „უკრძალავდა“ ბიზნესსაქმიანობას. მაგალითისათვის შეიქმნა გავისხენოთ გახმაურებული ისტორია, დაკვეთილებული სასტუმრო „ასტორია“-სთან, რუსეთის საზღვართან ახლოს, რომლის

„რკინის ალიკა“, ანუ ალექსანდრე ანქვაზის ნაშვილი სახე



მშენებლობა პირადად ალექსანდრე ანქვაზის ბრძანებით შეჩერდა. განზრახული იყო სასტუმროს ჩამორთმევა მფლობელისათვის, მაგრამ ამ გეგმის განხორციელებას ხელი პრეზიდენტის გადადგომამ შეუშალა.

ამბობენ, რომ ალექსანდრე ანქვაზმა პირადად დაახია ის ფურცლები, რომლებზეც დაბეჭდილი იყო რუსეთ-აფხაზეთის ახალი ხელშეკრულების პროექტის ტექსტი. დოკუმენტს ხელი მოგვიანებით მოეწერა, 2014 წელს. მხედველობაში გვაქვს ხელშეკრულება მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ.

მისი წინამორბედი პრეზიდენტი სერგეი ბაღდაშის ოსტატურად იცავდა შეკავება-საპირწონის სისტემას და არავის უფლებას არ აძლევდა ვინაშისადაც კი კორუპციული ინტერესები სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა დაეყენებინა. ალექსანდრე ანქვაზის დროს კი სახელმწიფოს დაცემა დაიწყო. იგი ტიპური ქართული სტილით ცდილობდა კლანებისა და დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლას, რათა მათი ინტერესებით მანიპულირება მოეხდინა და საკუთარი ძალაუფლება განემტკიცებინა. ალექსანდრე ანქვაზს უდიდესი გამოც-

დილება ჰქონდა ქართულ სამყაროში და ქართველ საზოგადოებაში მუშაობისა, იგი ხომ მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სამართალდამცავი სისტემის ხელმძღვანელობაში.

ალექსანდრე ანქვაზმა ხელი შეუწყო განხეთქილებას აფხაზეთის ეკლესიაში: პრეზიდენტ სერგეი ბაღდაშის ავადმყოფობის დროს, ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაზი, ფაქტობრივად, სახელმწიფოს პირველი პირი იყო. მან მხარი დაუჭირა საეკლესიო „რასკოლიკებს“ – იერომონაზების დოროფეისა და ანდრეის მიერ მოწვეულ საეკლესიო კრებას, ახალი ათონის მონასტრის წინამძღვრის ილუმენ ევგენეის წინააღმდეგ. ალექსანდრე ანქვაზი ასეთი მოქმედებით იმედოვნებდა, რომ ორივე დაჯგუფების მანიპულირებას მოახდენდა, მოსკოვთან ივანკურებად... სამსუხარო რეალობა: ასეთი პოლიტიკის ნეგატიურ შედეგებს აფხაზეთის საზოგადოება კიდევ დიდი ხნის განმავლობაში „მოიძვის“.

ალექსანდრე ანქვაზი ხელისუფლებაში მოსვლისას მოსახლეობას რეფორმების გატარებას დაჰპირდა, ბევრი კარგი რეფორმის განხორციელებას, მაგრამ არცერთის რეალიზება არ მოხდარა. მან, უბრალოდ, თავისი წინამორბედების ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი საქმეები სამომავლოდ გადადო. ერთ-ერთი ასეთი გადადებული საქმე იყო უძრავი ქონების შესახებ კანონის მიღება, რომელიც ერთი მხრივ, შვების მომგვრელი იქნებოდა არსებული ბიზნესისათვის, მეორე მხრივ კი შეწყვეტდა დანაშაულებრივ, თაღლითურ გარიგებებს. მაგრამ კრიმინალების წინააღმდეგ დაპირებული დარტყმა არ განხორციელდა, პირიქით – ალექსანდრე ანქვაზმა არსებული დანაშაულებრივი საქმეები საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენა. მისი როგორც პრეზიდენტის ერთადერთ და მთავარ მიზანს ხელისუფლებაში ყოფნა წარმოადგენდა, საკუთარი თავის შესანარჩუნებლად. თუმცა ალექსანდრე ანქვაზს საბოლოოდ მაინც არ გაუშვიათ: იგი სამარცხვინოდ გაექცა საკუთარ ხალხს და რუსეთის სამხედრო ბაზაში დაიმალება... აბა, რა – ანტირუსული პოლიტიკოსი ხომ აფხაზეთიდან სხვაგან ვერსად გაიქცეოდა, მხოლოდ რუსეთში, რომელიც დედასავით ყველას ღებულობს და ჩადენილ შეცდომებს პატიობს. იმათაც კი, ვინც სულში აფურთხებს...

აფხაზი სეპარატისტების მოქმედება დისკრიმინაციის და ეთნიკური ნიშნით სეპარაციის გამოვლენა

აზერბაიჯანულ გამოცემა „Kaspiy“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის სეპარატისტული „მთავრობის“ მიერ ეთნიკურ ქართველთა უფლებების შელახვის ფაქტები, რომლებიც უმეტესად გალის რაიონში ცხოვრობენ. საქმე ეხება მათთვის პასპორტის მსგავს „ბინადრობის მოწმობის“ გაცემას. დღეს გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

ში მათ უძრავი ქონების ყიდვა არ შეუძლიათ. თბილისის განზრახული აქვს ქართველების დისკრიმინაციის საკითხი შენევის მოლაპარაკების დღის წესრიგში შეიტანოს.

ტრამპს რვაჰა ინაზურა-სიის უმჯობ არ უნახავს ამის შესახებ თეთრი სახლის ლიდერმა „ვაშინგტონ პოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. „ის, რომ ურთიერთობა არ გვაქვს, რა თქმა უნდა, ცუდია, თუმცა თუ ჩვენს ისტორიას გავეთვალისწინებთ, ვფიქრობთ, ის ამით გაკვირვებული არ უნდა იყოს,“ – აღნიშნა ტრამპმა. მანამდე მოქმედებდა პრეზიდენტმა ყოფილი პრეზიდენტი სატელეფონო საუბრების მოსმენაში დაადანაშაულა.

„ღამის მგლები“ კოლონიაში არ უშვანს „ღამის მგლები“ გამარჯვების დღის აღსანიშნავად მოტორბოლის მოწყობას გეგმავდნენ. ისინი ვარშავის გავლით, ბერლინში ჩასვლას აპირებდნენ, სადაც 9 მაისს გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი დონისძიება უნდა გაემართათ. როგორც „ღამის მგლები“ წარმომადგენელი ევგენი სტროგოვი განმარტავს, პოლონურმა მხარემ რუსი ბაიკერები ექსტრემიზმთან კავშირში დაადანაშაულა და ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა.



დავიდ ქამარონი მამუა-რებს მოხუცი ღანაის ამისთვის დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა შესაბამისი გარემოს შექმნაც გადაწყვიტა და ბორბლებიანი ხის ქობი იყიდა. ერთთახიანი კონსტრუქცია მას 25 ათასი ჯირჯინა სტერლინგი დაუფუდა. ქობი ძველი ღუმელია და საგარძღები თაა აღჭურვილი. დევიდ კამერონი ამბობს, რომ ასეთი ინტერიერი მას სიმშვიდე ანიჭებს, რაც მემუარების წერაში დაეხმარება. დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ავტობიოგრაფიული წიგნის გამოცემაზე კონტრაქტი შარშან გააფორმა. მემუარები მომავალ წელს უნდა დაიბეჭდოს.

2020 წლამდე საქართველოში 2 500-მდე ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავეიძემ რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის, ასევე დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტებს სამინისტროს საქმიანობის ანგარიში და სამოქმედო გეგმაზე მოცულობითი ინფორმაცია წარუდგინა.

ანგარიშის წარდგენისას ზურაბ ალავეიძემ მიმოიხილა უმნიშვნელოვანესი პროექტები გზების, წყალმომარაგების, ტურისტული ინფრასტრუქტურის, ეკოლოგიური, გარემოს დაცვის მიმართულებით და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა პროექტის განხორციელება რეგიონებში არსებული შესაძლებლობების რეალიზებას, მოსახლეობის კეთილდღეობასა და ქვეყნის სწრაფ განვითარებას უკავშირდება.

„2020 წლამდე საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 2 500-მდე ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება. დაგეგმილია 1000 კილომეტრი გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დამატებით ნახევარ მილიონამდე ადამიანი ისარგებლებს 24-საათიანი წყალმომარაგებით, აშენდება შვიდი ახალი, ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელი, რეაბილიტაცია ჩაუტარდება 120-ზე მეტ საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულების ობიექტს. აღნიშნული პროექტების განხორციელება შექმნის 40 000 სამუშაო ადგილს“, - განაცხადა ზურაბ ალავეიძემ.

ზესტაონის №19ა-ში კორპუსის გააბრუნების სამუშაოები ბრძოლაში


გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები დაახლოებით 10 დღეში დასრულდება. საცხოვრებელი შენობის მდგომარეობას მერის მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილი ნაძალადევის რაიონის გამგებელთან ირაკლი ხელაძესთან ერთად ადგილზე გაეცნო.

თექვსმეტსართულიანი კორპუსის სვეტზე ბზარები გუშინ გაჩნდა, რის გამოც შენობის გამაგრებითი სამუშაოების დაწყება გასული კვირის ბოლოს დაგეგმილი იყო.

მუშაოების დაწყება გახდა საჭირო. გუშინვე განხორციელდა ადგილობრივი მცხოვრებლების ევაკუაცია. ოჯახები, რომლებსაც ალტერნატიული საცხოვრებელი არა აქვთ, დროებითი ფართით გამგებობამ უზრუნველყო და სხვადასხვა სასტუმროში გადააანაწილა.

პრეზიდენტის სიძის მეგობარი სასაპარტოლო პატიმრობაში დატოვა

ნარკოვანაშაულისთვის ბრალდებული პრეზიდენტის სიძის მეგობარი მიხეილ თათაროვი სასაპარტოლო პატიმრობაში დატოვა. სასაპარტოლო პროცესზე ადვოკატებმა ბრალდებულისთვის ალკოჰოლის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობა დააყენეს და თათაროვის ალკოჰოლის ღონისძიების გარეშე დატოვება მოითხოვეს, ალტერნატივის სახით კი დაცვის მხარე შესთავაზა.



ბრალდებულის ადვოკატმა ირმა ჭკადუამ განაცხადა, რომ მოსამართლის განმარტებით, თავისუფლებაზე ყოფნის პირობებში არსებობს ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხე.

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:

Table with 8 columns: Lot No, Description of property, Area (sq.m), Plot No, Area (sq.m), Price (GEL), 'ბე' (lot), 'ბეჯი' (lot), and 'მონაწილის ბილეთის ფასი' (lot). It lists five lots for public auction.

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა. შევსებული განაცხადი;
ბ. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;
გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;
დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ვ. სადამფუძვლებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.
4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შექმნილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნაყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე 15 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.
5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი“-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.
6. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2017 წლის 02 მაისიდან 2017 წლის 31 მაისამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 31 მაისს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).
7. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირი №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350 - 23-21-90.

გამგებელი ალმასანდრე შატირიშვილი

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განმეორებითი უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:

Table with 8 columns: Lot No, Description of property, Area (sq.m), Plot No, Area (sq.m), Price (GEL), 'ბე' (lot), 'ბეჯი' (lot), and 'მონაწილის ბილეთის ფასი' (lot). It lists one lot for public auction.

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა. შევსებული განაცხადი;
ბ. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;
გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;
დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

- ვ. სადამფუძვლებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.
4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შექმნილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნაყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე 15 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.
5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი“-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.
6. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2017 წლის 02 მაისიდან 2017 წლის 31 მაისამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 31 მაისს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).
7. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირი №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350 - 23-21- 90.

გამგებელი ალმასანდრე შატირიშვილი

ნიწო აწაწიაშვილს იაპონიის იმპერატორის ჯილდოს მიანიჭეს

ნიწო აწაწიაშვილი იაპონიის იმპერატორის ჯილდოს 2017 წლის გაზაფხულის ლაურეატი. ქართველი პრიმა ბალერინა ლენტით „ამომავალი მზისა და ოქროს სხივები“ დამუშავებული ორდენით დაჯილდოვდა, იაპონიისა და საქართველოს შორის კულტურულ ურთიერთობებში ხანგრძლივი და მრავალფეროვანი მოღვაწეობის და იაპონური საბალეტო საზოგადოების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის. ნიწო აწაწიაშვილს ჯილდოს ოფიციალურად 6 თვის შემდეგ გადასცემენ.



ამ ორდენის კავალერი 2011 წელს 86 წლის მაია პლისეტსკაია გახდა. ჯილდო 1875 წელს დაწესდა, დღევანდელი სისტემა – 1964 წელს. არის 2 ჯილდო – „ამომავალი მზის ორდენი“ და „წმინდა საგანძურის ორდენი“. არაიაპონელი „ამომავალი მზის ორდენით“ ჯილდოვდება. წელს 105 არაიაპონელიდან 34 დაჯილდოვდა.

მოგზაურის ჩანაწერები

„საქართველოდან ყველას სსიამოვნო და დაუვიწყარი უთაბეჭდილებები მიიქვს“

რუსეთის ტელეკომპანია „პირველმა არხმა“ რუსიკით „მოგზაურის ჩანაწერები“ კვირას, 30 აპრილს, ეთერში გადასცა მრავალწილი ვიდეოსერიალი საბარტველოს შესახებ.

„გულწრფელობა და სტუმართმოყვარეობა, სითბო და სიყვარული, რომლითაც ქართველები სტუმრებს ხვდებიან, ამ ქვეყნის სიმბოლო გახდა. ვინც ერთხელ მაინც ეწვევა საქართველოს, უკან დაბრუნებისას თან ყველაზე სასიამოვნო და დაუვიწყარი უთაბეჭდილებები მიიქვს“, – ამბობს გადაცემის ავტორი, ტელეჟურნალისტი დიმიტრი ბიკოვი. იგი ტელემაყურებელს თბილისში და თელავში ყოფნის უთაბეჭდილებებს სთავაზობს.



ვიდეოსერიალში ვრცელდება გამომცემელი საქართველოს დედაქალაქის ისტორია და თანამედროვეობა. ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ... ლეგენდა თბილისური აბანოების შესახებ (ალექსანდრე პუშკინის, ალექსანდრე დიუმას შეფასებები და ალა-მაჰმად-ხანის ვანდალიზმი). „ტურისტებისთვის თბილისის უძველეს უბანში – აბანოთუბანში მდებარე ცნობილ აბანოებს უახლოვდებიან, დამახასიათებელ მძაფრ სუნს გრძნობენ. ვინც არ იცის, თუ რატომაა ასეთი სუნი, ერთმანეთს ეჭვის თვალთ შესცქერიან... ეს გოგირდიანი თბილი წყლის სუნია, რითაც განთქმულია თბილისი“, – ამბობს ავტორი. კომენტარი ისტორიული თბილისის კადრების ჩვენებისას: „ხელისუფლება ბევრ აკეთებს ძველი უბნების აღდგენისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ავარიული შენობა, ჯერ კიდევ მოუწყვლელი ძველი თბილისის ქუჩები, ცენტრისგან მოშორებით“. გადაცემაში ყურადღება აქვს დათმობილი თბილისურ კოლორიტს, არქიტექტურულ ძეგლებს (მაგალითად, ფილმ „მიმინოს“ გმირებს,

მთანმინდას, ნარიყალას...), აგრეთვე იტალიურ ეზოებს: „ზოგიერთმა შეიძლება, ამრებით შეხედოს იტალიური ეზოს ძველ შენობებს, მაგრამ ეს თბილისელ ბისათვის ტრადიციაა და ადგილობრივი კოლორიტია“. თელავის ღირსშესანიშნაობები; რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიული ასპექტები: ერეკლე მეორე და ეკატერინე მეორე. თელავის აეროპორტი „მიმინო“. გურჯაანის როგორც კახეთში მევენახეობის მთავარი რაიონი. ექსკურსია გურჯაანის ღვინის საცავში და ქართული პურის – „კახური შოთის“ საცხობში, ჩურჩხელის ამოვსების წესი... ვიდეომასალაში უხვად გამოყენებული კადრები ქართული კინოფილმებიდან „მიმინო“, „არ იდარდო“, „ჯარისკაცის მამა“, ქართული ხალხური მუსიკის მელოდიების თანხლებით. აშკარაა, რომ ვიდეოსერიალში ხელს უწყობს რუსი ტურისტ-მოგზაურების სწორ ორიენტაციას, დასვენების ადგილის შერჩევის მიზნით. „1TV.RU“ (რუსეთი)

გილოცავთ!

პირველი მაისი

ავთანდილ (ავთო) მებრეღაძის დაბადების დღეა

ჭეშმარიტ მამულიშვილს, შესანიშნავ ადამიანს, უნიჭიერეს და გულსხმიერ ექიმს, ბატონ ავთო მებრეღაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ დიდი ხნის ჯანმრთელ, ბედნიერ, უღვივი სიხარულით სავსე დასვენებას თავის შესანიშნავ ოჯახთან ერთად. ღმერთმა უმრავლეს ჩვენს სამშობლოს ასეთი ადამიანები, ასეთი ექიმები. უფალმა დალოცოს თავის სანიშნავ ოჯახთან ერთად, იხაროს ორსავე სოფელსა შინა, ამინ!

უდიდესი პატივისცემით ყოფილი მადლიერი პაციენტი ნანა (ნანა) ბუნია, საქართველოს გეგნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ახალი დრო

კოსმოსური ტურიზმის აპოქის განთიადი

მსოფლიო კოსმოსურ დარგში ნამდვილი რევოლუციაა, რომლის სულსჩამდგმელია ამერიკელი გამომგონებელი და მილიარდერი ილონ მასკი. საქმე ისაა, რომ მისმა კომპანია SPACE X-მა ისტორიაში პირველად შეძლო გაეშვა და დედამიწაზე კვლავ დაბრუნებინა მატარებელი რაკეტის საფეხური, რომელიც მანამდე უკვე ნამყოფი იყო კოსმოსში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კოსმოსური გაშვებების ბაზარს ამერიკიდან სერიოზული ცვლილებები ელის, ვინაიდან მასკს ჩაფიტრებული აქვს თანამგზავრული ინტერნეტით მთელი დედამიწის მოცვა და კოსმოსური ტურიზმის მასობრივად გახდომა. რაკეტა Falcon 9-მ, რომელიც ერთხელ უკვე ნამყოფი იყო კოსმოსში, მეორე კომერციულ გაფრენაზე დედამიწის ორბიტაზე კავშირგაბმულობის თანამგზავრი გაიყვანა, თავად კი, დასაჯდომი საყრდენებით ალტურვილი, ნარნარად დაჯდა მცურავ პლატფორმაზე. აქამდე ნებისმიერი რაკეტის პირველი

საფეხური ატმოსფეროში იწვებოდა, არადა, სწორედ მასზე მოდიოდა კოსმოსში გაშვების ხარჯის ლომის წილი – 70 პროცენტი. სხვათა შორის, Falcon 9-ის საბაზრო ღირებულება 62 მილიონი დოლარია. შემოთქმულიდან გამოშვებამდე, ცხადია, რომ ილონ მასკს კოსმოსში გაშვების საფასურის გაიანთების მნიშვნელოვანი რე-



ზერვი აქვს და, როგორც ჩანს, უახლოეს 10-15 წელიწადში ეს პროცესი იმდენად წინ წავა, რომ მსოფლიო ბაზარზე მას კონკურენტი აღარ ეყოლება! მასკის კომპანია უახლოეს მომავალში დედამიწის ყველაზე მიუვალი ადგილების მსასხლეობის იაფიანი თანამგზავრული ინტერნეტით უზრუნველყოფას აპირებს, საამისოდ კი ორბიტაზე 12 ათასი აპარატის გაგზავნას გეგმავს!, რომლებიც 35 ათასი მეტრის სიმაღლეზე იფრენენ. „მასკის ინტერნეტი“ უფრო სწრაფი იქნება და პერსპექტივაში, ბაზრიდან ყველა სხვა ტრადიციულ პროვაიდერს გააძევეს. ანალიტიკოსები იმასაც აღნიშნავენ, რომ ილონ მასკის კომპანიას გეგმების განხორციელების რეალური შანსები იმიტომ აქვს, რომ მის, ასე ვთქვათ, „სტარტაპში“ უდიდესი როლი შეასრულა ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსურმა სააგენტო NASA-მ, რომელმაც მას უმნიშვნელოვანესი ტექნოლოგიები გადასცა.

ნიწო ალექსანდრია

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ბურამ გომიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
514 33-33-24

გამომცემელი:
შპს „თანამდგომარეობა“-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

ua (უაკ) 070.4 (479.22) ს-323
ISSN 2233-3851

9 772 233 385 001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უნი ბაზათია, აუსილელად წაიქითხა!

	<p>უსსოური ვალუტის კურსი:</p> <p>აშშ დოლარი - 2.4416; ევრო - 2.6701; ბრიტანული პირენა სტერლინგი - 3.1604; 100 რუბლი - 4.2768; თურქული ლირა - 0.6873; აზერბაიჯანული მანათი - 1.4458; 1000 სომხური დრამი - 5.0394.</p>	<p>მაისი 2 მაისისთვის</p> <p>აქციონერული საქართველო:</p> <table border="1"> <tr><td>ბაზი</td><td>დამ</td><td>+9</td><td>დღ</td><td>+28</td></tr> <tr><td>პირენი რაიონები</td><td>დამ</td><td>+4</td><td>დღ</td><td>+25</td></tr> </table> <p>დასავლეთი საქართველო:</p> <table border="1"> <tr><td>ბაზი</td><td>დამ</td><td>+11</td><td>დღ</td><td>+31</td></tr> <tr><td>პირენი რაიონები</td><td>დამ</td><td>+8</td><td>დღ</td><td>+29</td></tr> <tr><td>თბილისი</td><td>დამ</td><td>+11</td><td>დღ</td><td>+26</td></tr> </table>	ბაზი	დამ	+9	დღ	+28	პირენი რაიონები	დამ	+4	დღ	+25	ბაზი	დამ	+11	დღ	+31	პირენი რაიონები	დამ	+8	დღ	+29	თბილისი	დამ	+11	დღ	+26	<p>დაავიკაპით, მოგზაობით:</p> <p>ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge</p>
	ბაზი	დამ	+9	დღ	+28																							
	პირენი რაიონები	დამ	+4	დღ	+25																							
	ბაზი	დამ	+11	დღ	+31																							
პირენი რაიონები	დამ	+8	დღ	+29																								
თბილისი	დამ	+11	დღ	+26																								